სპეციალიზირებული კურსი - ეკონომიკური დანაშაულების სამართალი

კურსის მიზანი: ეკონომიკური დანაშაულების სამართლის სფეროში იურისტებისთვის სიღრმისეული და სპეციალიზირებული ცოდნის გაზიარება. კურსს გაუძღვებიან დარგის ქართველი და გერმანელი პრაქტიკოსი ექსპერტები.

კურსის ფორმატი და სწავლების მეთოდი: კურსით გათვალისწინებული მოდულები განხორციელდება ჰიბრიდულ ფორმატში, როგორც ფიზიკური, ასევე ონლიან ტრენინგების სახით. კურსის ფარგლებში სწავლების მეთოდად გამოყენებული იქნება პრობლემებზე ორიენტირებული სწავლების, პრაქტიკული სავარჯიშოს განხილვის, სასამართლო და მმართველობითი პრაქტიკის ანალიზის, ინდივიდუალური დავალების შესრულების, კითხვა-პასუხის და სხვა რელევანტური მეთოდები.

კურსის ხანგრძლივობა: კურსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 40 საათს, 6 საათიანი დატვირთვით.

სპეციალიზირებული კურსის განრიგი ეკონომიკური დანაშაულების სამართალი				
კურსის ექსპერტები: **გიორგი ხუბუა,** პროფესორი, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **ბერნდ შუნემანი,** პროფესორი, სამართლის დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი **ბაჩანა ჯიშკარიანი,** ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ირაკლი ქსოვრელი,** სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს				
თემის დასახელება	**განსახილველი საკითხები**	**ხანგრძლივობა/ფორმატი**	**ექსპერტი**	**თარიღი და დრო**
სამართლის შეფარდების და ინტერპრეტაციის მეთოდები	• სამართლის მეთოდების არსი. იურისტები როგორც "განმარტების აკრობატები"; • იურიდიული არგუმენტაციის პროცესი;	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	გიორგი ხუბუა	10 ივნისი, 2024 11:00-14:00 სთ

	• გრამატიკული, ისტორიული, ტელეოლოგიური, სისტემური განმარტების მეთოდები; • შედარებითი სამართლისმცოდნეობის მეთოდი; • განმარტების ხერხების იერარქია; • სამოსამართლო სამართალი, როგორც ნორმის შემეცნების მეთოდი; • ხარვეზი კანონმდებლობაში და მისი შევსების მეთოდები. ანალოგია და იურიდიული სილოგიზმი; • სამართლის მეთოდები და სამართლის პოლიტიკა; • საერთაშორისო, ევროპული სამართლის, კონსტიტუციური ნორმების განმარტების თავისებურებები; • სამართლის პრინციპების განმარტების თავისებურებები.			
ეკონომიკური დანაშაულების ცნება ქართულ სისხლის სამართალში. ცალკეული დანაშაულების მიმოხილვა. შედარება ევროპულ და გერმანულ სისხლის სამართალთან. ქურდობა და მისი ელემენტები	• ევროკავშირის სამართლის მნიშვნელობა ქართული სისხლის სამართლისთვის • ეკონომიკური დანაშაულების ცნება ევროკავშირის ფარგლებში • დანაშაულის აგებულების ცალკეული ელემენტების ანალიზი ქურდობის მაგალითზე	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	12 ივნისი, 2024 17:00-20:00 სთ

ქურდობასთან, ძარცვასთან და ყაჩაღობასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის საკითხები. დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი. ერთობლივი მუშაობა ცალკეულ კაზუსებზე. შედარება გერმანულ სამართალთან	• ძარცვის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • ყაჩაღობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • დამამძიმებელი გარემოებები • სასამართლო პრაქტიკის ანალიზი • შესაბამისი ნორმებისა შედარებითი ანალიზი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიდან • კაზუსები გერმანული სისხლის სამართლიდან	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	15 ივნისი, 2024 11:00-14:00
თაღლითობასა და მოტყუებით ქონებრივ დაზიანებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის საკითხები. დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი. ერთობლივი მუშაობა ცალკეულ კაზუსებზე. შედარება გერმანულ სამართალთან	• თაღლითობის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • ქონებრივი დაზიანება მოტყუებით - ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • დამამძიმებელი გარემოებები • სასამართლო პრაქტიკის ანალიზი • შესაბამისი ნორმების შედარებითი ანალიზი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიდან • კაზუსები გერმანიის სისხლის სამართლიდან	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	21 ივნისი, 2024 17:00- 20:00 სთ
გამოძალვა,მითვისება, გაფლანგვა - მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციის	• გამოძალვის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	22 ივნისი, 2024 11:00-14:00 სთ

საკითხები. დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი. ერთობლივი მუშაობა ცალკეულ კაზუსებზე. შედარება გერმანულ სამართალთან	• მითვისებისა და გაფლანგვის ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • დამამძიმებელი გარემოებები • სასამართლო პრაქტიკის ანალიზი • შესაბამისი ნორმების შედარებითი ანალიზი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსიდან • კაზუსები გერმანიის სისხლის სამართლიდან			
წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება, ნივთის დაზიანება ან განადგურება - მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციის საკითხები. დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი. ერთობლივი მუშაობა ცალკეულ კაზუსებზე. შედარება გერმანულ სამართალთან	• წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება - ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • ნივთის დაზიანება ან განადგურება განზრახ ან გაუფრთხილებლობით - • ობიექტური და სუბიექტური ელემენტების განხილვა • დამამძიმებელი გარემოებები • სასამართლო პრაქტიკის ანალიზი • შესაბამისი ნორმების შედარებითი ანალიზი გერმანიის სისხლის • სამართლის კოდექსიდან • კაზუსები გერმანიის სისხლის სამართლიდან	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	26 ივნისი,2024 17:00-20:00 სთ
საკუთრების უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი ასპექტები	• საკუთრების უფლების დაცული სფერო • საკუთრების კონსტიტუციით დაცული ფორმები	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ირაკლი ქსოვრელი	3 ივლისი, 2024 17:00-20:00 სთ

	• უფლების დასაშვები შეზღუდვის ფარგლები • საკუთრების უფლების შეზღუდვის დროებითი მექანიზმები სისხლის სამართლის პროცესში • სასჯელი სახით ქონების ჩამორთმევისა და ჯარიმის გამოყენების დასაშვები ფარგლები			
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება - ქართული სასამართლო პრაქტიკა. კონსტიტუციურსამართლებრივი ასპექტები მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით	• უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აკრძალვის მიზნები და ამოცანები • დაუსაბუთებელი ქონების მიმართება საკუთრების უფლებასთან • მტკიცების ტვირთი ქონების დაუსაბუთებლად ცნობის პროცესში - კონსტიტუციურ სამართლებრივი მოთხოვნები.	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ირაკლი ქსოვრელი	4 ივლისი, 2024 11:00-14:00 სთ
ნორმის განსაზღვრულობის საკითხი ცალკეული ეკონომიკური დანაშაულების მაგალითზე. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა	• პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები განჭვრეტადობის კონსტიტუციური პრინციპის არსი და დანიშნულება • სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის კონტექსტში • სასამართლოს მიერ არსებული პრაქტიკის (სისხლის სამართლის	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ირაკლი ქსოვრელი	12 ივლისი, 2024 17:00-20:00 სთ

ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, გულგრილობა, კომერციული მოსყიდვა	ნორმის განმარტების) ცვლილების გავლენა პირის პასუხისმგებლობაზე • საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვა მითვისებისა და გაფლანგვის მაგალითზე.			
პირის არასათანადო დევნისგან დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი მექანიზმები სისხლის სამართლის პროცესში, ეკონომიკური დანაშაულების მაგალითზე	• მტკიცებულებათა უტყუარობის მოთხოვნა • დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების კონსტიტუციით დაცული მექანიზმები • დანაშაულის პროვოკაცია და მისგან დაცვის მექანიზმები • დისკრიმინაციული დევნის პრევენცია	3 საათი/ ფიზიკური სივრცე	ირაკლი ქსოვრელი	13 ივლისი, 2024 11:00-14:00 სთ
ეკონომიკური დანაშაულების ცნება გერმანულ სისხლის სამართალში. ცალკეული დანაშაულების ანალიზი	• ცალკეული დანაშაულების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა • შესაბამისი გერმანული სასამართლო სასამართლო პრაქტიკის განხილვა	3.5 საათი/ დისტანციური	ბერნდ შუნემანი/ბაჩანა ჯიშკარიანი	15 ივლისი, 2024 17:00-20:30 სთ
ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია გერმანულ სისხლის სამართალში. მატერიალური და	• უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აკრძალვის მიზნები და ამოცანები გერმანულ სამართალში • დაუსაბუთებელი ქონების მიმართება საკუთრების უფლებასთან	3.5საათი/ დისტანციური	ბერნდ შუნემანი/ბაჩანა ჯიშკარიანი	16 ივლისი, 2024 17:00-20:30 სთ

საპროცესო სტანდარტები.	• საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტები და მათი გავლენა გერმანულ სისხლის სამართალში			
ფალსიფიკაცია, ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია - მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციის საკითხები	• კრედიტის უკანონოდ მიღება • ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება • ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება - მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციის საკითხები. • დოგმატიკასა და პრაქტიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი. • ერთობლივი მუშაობა ცალკეულ კაზუსებზე. განვლილი საკითხების შეჯამება	3 საათი/ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	20 ივლისი, 2024 11:00-14:00 სთ
ტესტირება	კაზუსების ამოხსნა	ფიზიკური სივრცე	ბაჩანა ჯიშკარიანი	20 ივლისი, 2024 13:00-14:00 სთ